

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N13

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

24.08.2020 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი: - გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგობერიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გელა ჩიკვაძე, კობა ტოხვაძე, კობა ძაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ბიჭიკო პაიკიძე, ოლეგი მიქელთაძე, ვარლამ გიორგაძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში - ლუბა გოგობე.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ზვიად კაპანაძე.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს ღია სხდომას 12<sup>00</sup> საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

### დღის წესრიგი

1. საპროექტო განაცხადის „ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მეწარმეების განვითარების ხელშეწყობის მიზნით არტეზიული ჭების მოსაწყობად

საბურღი მძიმე ტექნიკის შექმნა“ მოწონებისა და იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მის წარსადგენად ვანის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელი: ზვიად კაპანაძე

წარმოდგენილი პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -23

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ზაზა ოჩხიკიძემ (ზვიად კაპანაძის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა განკარგულების პროექტი „საპროექტო განაცხადის „ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მეწარმეების განვითარების ხელშეწყობის მიზნით არტეზიული ჭების მოსაწყობად საბურღი მძიმე ტექნიკის შექმნა“ მოწონებისა და იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მის წარსადგენად ვანის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულია საგრანტო პროექტი, რომ არტეზიული ჭების მოსაწყობად შექმნილი იქნას საბურღი მძიმე ტექნიკა. ჩვენ ბაღდათის მუნიციპალიტეტთან ერთად ვამზადებთ ყველა იმ მოთხოვნას რაც გრანტის მისაღებადაა საჭირო.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 23

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „საპროექტო განაცხადის „ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მეწარმეების განვითარების ხელშეწყობის მიზნით არტეზიული ჭების მოსაწყობად საბურღი მძიმე ტექნიკის შექმნა“ მოწონებისა და იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მის წარსადგენად ვანის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;“

(განკარგულება N 27 21)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

